საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-482

05/06/2019

ქ. თბილისი

„შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ის მდ. ჭოროხზე 48 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხელვაჩაური 1 ჰესის) პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 1 ივლისის №ი-392 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №36 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

მიმდინარე წლის 15 მაისს სამინისტროს მომართა შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ის დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2014 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ის მდ. ჭოროხზე 48 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხელვაჩაური 1 ჰესის) პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია №36 (26.04.2014) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თარიღთან დაკავშირებით დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ, 26 ივნისის ნაცვლად მითითებულია 26 აპრილი. ვინაიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოდან შემოსული წერილი დასკვნის დამტკიცების თაობაზე თარიღდება 2014 წლის 12 ივნისით, №36 დასკვნის თარიღად 26 აპრილი ვერ განისაზღვრებოდა და მისი გაცემის თარიღი არის 26 ივნისი. შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკური შეცდომა საჭიროებს შესწორებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ის მდ. ჭოროხზე 48 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხელვაჩაური 1 ჰესის) პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 1 ივლისის №ი-392 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული №36 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თარიღად 26 აპრილის ნაცვლად განისაზღვროს 26 ივნისი;

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს „შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი